საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-817

23/08/2019

ქ. თბილისი

ქ. ბათუმში, შპს „RONI“-ის ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' 47 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, შპს ,,RONI''-ის ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N 2 ; 12.08.2019;
2. შპს ,,RONI''-იმ უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის და N2 ; 12.08.2019; გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,RONI'' -ის;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,RONI''-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება 5 კალენდარული დღის ვადაში განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

იური ნოზაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი